

# ეთნოლოგია - ETHNOLOGY

## როლანდ თოფჩიშვილი

### ხორხი/ხორხის ხეობა (ეთნოსტორიული ნარკვევი)

საქართველოში დიდ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ // ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებთან ერთად პატარა მხარეებიც არსებობდა. ასეთებს შორის შეიძლება გავიხსენოთ ნარიანი (თორს, ჯავახეთსა და თრიალეთს შორის), მთის რაჭა (რაჭაში, მდინარე რიონის სათავეში), ხანდო და ჭართალი (მთიულეთის არაგვის ხეობაში, შიდა ქართლის მთისწინეთი). არაგვის ხეობაში, შიდა ქართლის მთისწინეთში არის ხორხი ანუ ხორხის ხეობა. მეცნიერებაში მთის რაჭის, ხანდოს, ჭართლის შესახებ სათანადო გამოკვლევები არსებობს, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ნარიანისა და ხორხის შესახებ. წინამდებარე სტატია ხორხების/ხორხის ხეობას შეეხება, უფრო რომ დავაზუსტოთ მის ისტორიას, გვარებს, რომლებიც აქ მკვიდრობდნენ.

მდინარე ხორხულა, რომლის სიგრძე 16 კილომეტრია, დღეს უინვალის წყალსაცავში ჩაედინება. წყალსაცავის შექმნამდე კი ის უინვალთან ახლოს მთიულეთის არაგვს უერთდებოდა მარცხენა მხრიდან. ხორხის ხეობა მოქცეულია ფშავის არაგვსა და მთიულეთის არაგვს შორის, სათავე აქვს სალალოს მთაში. ხშირად ხორხს შეცდომით წინაფშავს მიაწერენ. ხორხი სამხრეთ წინაფშავისაგან წყალგამყოფი ქედით გამოიყოფა; ასევე ქედითაა გამოყოფილი მთიულეთის არაგვის ხეობის მთისწინა სოფლებისაგან (მაგალითად, პავლეურისა და ციხისძირისაგან).

„ხორხი“ გამჭვირვალე ქართული ტოპონიმია. თანამედროვე ქართულ ენაში „ხორხი“ იგივე ლორლია, შესაბამისად „ხორხიანი“ - ლორლიანი.<sup>1</sup> მთის დიალექტებში წორხს ხეობის დასაწყისს, სათავეს, ხეობის უკანა ნაწილს უწოდებენ.<sup>2</sup> ოთახე ბაგრატიონის მიხედვით, ტოპონიმი წორხები ქვემო ქართლში, არგისის ხეობაშიც იყო.<sup>3</sup> ტოპონიმი „ხორხა“ არის მთის რაჭის სოფელ გლოლასთან (აქ ამომავალ მინერალურ წყალს ადგილობრივები „ხორხის მჟავე წყალს“ უწოდებენ). რაც შეეხება შიდა ქართლის მთისწინეთის ხორხს,

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

<sup>2</sup> ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი. ტოპონიმ ხორხისა და ხორხელის შესახებ გურამ ყორანაშვილი დიალექტოლოგიური მასალის გაუთვალისწინებლად აღნიშნავს, რომ მისი „ეტიმოლოგია ხერხდება მეგრული ენის მეშვეობით“ (გ. ყორანაშვილი, ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი, გვ. 88).

<sup>3</sup> ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 50.

მას ითანებ ბაგრატიონი საერთოდ არ ახსენებს; არ ახსენებს ვახუშტი ბაგრატიონიც. აშკარაა, რომ XVIII საუკუნეში ხორხის ხეობა დაუსახლებელი იყო. თუმცა ითანებ ბაგრატიონი კახეთში მიუთითებს წორხელს. ეს სოფელი შეყვანილი აქვს ჩამონათვალში, რომელსაც შემდეგი საერთო სათაური აქვს: „ცხრაკარის ადგილს რაც სოფლები მიენერება დასავლეთის მხარეს...”<sup>1</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ კახეთის სოფელი ხორხელი წარმოქმნილია არაგვის ხეობის მთისწინეთიდან - ხორხის ხეობიდან მოსახლეობის გადასახლების შედეგად.<sup>2</sup> კახეთის ამავე რეგიონში - ელ სუფიქსიანი ტოპონიმი სხვაცაა - მუჯული, რაც ასევე მთიელთა, ამ შემთხვევაში, ფშავის სოფელ მუქოდან მოსახლეობის გადასახლებაზე მიუთითებს. აქვე ითანებ ბაგრატიონი ასახელებს აგრეთვე სოფლებს: მთიული, ქისტაური, უალანი (იგივე უალური), ახატელი, რომლებიც ასევე მთიელთა გადასახლების შედეგადაა წარმოქმნილი. აშკარაა, რომ ბახტრიონის ბრძოლამდე და ბახტრიონის ბრძოლის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა გაწყდა. მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ კი ნასოფლარები მთიდან და მთისწინეთიდან გადმოსახლებულებმა დაიკავეს. კახეთის აღნიშნული სოფლიდან ხორხში სალოცავად ბოლო დრომდე დადიოდნენ. ხორხლელების ხორხიდან გადმოსახლების შესახებ გადმოცემა ბოლო დრომდე იყო შენარჩუნებული. ეთნოლოგმა ივანე ნიკლაურმა 1974 წელს 76 წლის კოლა უიუიაშვილისაგან შემდეგი გადმოცემა ჩაიწერა: „როცა ხორხიდან გადასახლდა ხორხელმი ხალხი, იქ ერთი მოზევრი, რომელიც ხატის სახელზე იყო გაშვებული (ნასახელარი), თურმე პეტრე-პავლობის დროს გაგიჟებულა, ბუღრაობა და ღრიალი დაუწყია. ხალხი გადასახლების მერე თურმე ხორხში აღარ მიდიოდა სალოცავად და იქვე სოფელში გაკეთებულ ნიშთან ლოცულობდნენ და ამ მოზევრს გამოუწევია მთისაკენ - ხორხისაკენ, ხალხი მას თან გამოჰყოლია და ბუღა ხმალას სალოცავში ბუღუნით მისულა და გალავნის კარებთან დანოლილა. მას მერე დაუწყია ხალხს იქ სალოცავად სიარული“.

კახეთის სოფელი ხორხელი პირველად მოხსენიებულია 1670 წლის დოკუმენტში.<sup>3</sup> საბუთიდან ირკვევა, რომ ხორხელის მკვიდრნი ყოფილან კოზმანაშვილები, კირაულები, აბელაშვილები, თავისიანაურები... 1736 წლის წყალობის წიგნით, ხორხელის მკვიდრნი ყოფილან გომურაშვილებიც. ახმეტის არქივში დაცული 1842 და 1867 წლების საბუთით აქ ჯაბჯაურები და ჭავჭაურებიც ცხოვრობდნენ. არაერთხელ იხსენიება სოფელი ხორხელი XVIII საუკუნის (1734, 1736, 1738, 1760, 1770, 1781, 1792, 1795, 1796 წლების) დოკუმენტებში.<sup>4</sup> შეტანილია ის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ხალხის აღნერის დავთარშიც.<sup>5</sup> ხორხლელების ხორხიდან გადმოსახლების დამადასტურებელი

<sup>1</sup> ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღნერა, გვ. 69.

<sup>2</sup> თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია, გვ. 65.

<sup>3</sup> ქსძ, ტ. III, გვ. 566-568.

<sup>4</sup> საქართველოს ისტორია ტოპონიმებში, ტ. II, გვ. 374-475.

<sup>5</sup> ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ნ. II, გვ. 74-75.

კიდევ ერთი ეთნოგრაფიული მასალა უნდა დავიმოწმოთ: „მამაჩემის დედის-ძმა იყო მიხა იმერლიშვილი და ის ამბობდა: ხორხლელები ხორხიდან ვართ. პირველად ცოტანი ყოფილიყვნენ და მერე შემატებოდნენ სხვა გვარები. გადმოსახლებისას მათ სალოცავის მთავარმონამის ნიშიც გადმოუტანიათ“ (მთხოვნელი სიკო გიორგის ძე ჩანკაშვილი, 80 წლის, 1976 წელი, ქ. თელავი). ხორხის ხეობაში მართლაც არის სალოცავი „ხმალა მთავარმონამე“, სადაც ადრე ძალიან ბევრი ხალხი მოდიოდა კახეთის ბარიდან.

ხორხელის შესახებ საუბარი ისევ სალოცავის სახელწოდებით უნდა დავამთავროთ. „ხმალა მთავარმონამე“ პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ XVI თუ XVII საუკუნეში ხორხის ხეობიდან კახეთში გადასახლებული მოსახლეობა თავის დროზე მთიდან იყო მიგრირებული, კერძოდ კი ხევსურეთიდან - ცნობილია, რომ „ხმალა“ ხევსურეთში სისაურთ თემის მფარველი ღვთაება იყო. სხვათა შორის, კახეთში „ხმალას“ სალოცავის ნიშები სხვაგანაცაა, მაგალითად, ახმეტის უტოს უბანსა და საბუები (ყვარლის რაიონი).<sup>1</sup>

დავუბრუნდეთ ხორხის ხეობას. 1978 წელს ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალით, „ხორხი სულ ტყე ყოფილა პირველად. დიდურის მთიდან გადმოუხედია კაცს, ეკლესია დაუნახავს, ჩამოსულა, მოსწონებია კაი ადგილიაო. ეს კაცი ყოფილა მთიულეთის სოფელ წიფორიდან, გვარად უისიაშვილი. თავის სოფლელებს უთხრა. პირველად ის დასახლდა. მერე სხვები გადმოსულან. უისიაშვილები ქავთარაძეობას ამბობენ“. სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ხორხის ხეობაში შემდეგი სოფლებია: ლაუშა, ბზიკურთა, სონდისველა, ხირაუშა, ქვემო ხორხი, უბანი, მენესო, ზემო ხორხი. ჩამოთვლილ რვა სოფელს შორის ბზიკურთა მდინარე ხორხის მარჯვენა, ხოლო ყველა დანარჩენი მარცხენა მხარეზე მდებარეობს. 1886 წლის საოჯახო სიებში მხოლოდ ქვემო ხორხი, ზემო ხორხი და ბზიკურთაა დაფიქსირებული.<sup>2</sup> 1926 წლისათვის აღნიშნულ სამ სოფელს კიდევ სამი სოფელი დაემატა - სონდისველა, უბანი და ხირაუშა. ლაუშა და მენესო პირველად 1930-იან წლებში ჩნდება. ქვემოთ ვნახავთ, რომ ხორხის ხეობის მკვიდრი ძირითადად მთიულეთიდან, გუდამაყრიდან და ფშავიდან მიგრირებულები არიან. გავუსწრებ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ჩვენთვის საინტერესო მიკროგეოგრაფიული ერთეულის მთიელებით დასახლება ეტაპობრივად მიმდინარეობდა; ის ერთდროულად არ მომხდარა. ამას, პირველ რიგში, სოფლების თანდათანობითი წარმოქმნაც ადასტურებს. 1821 წლის აღნერაში ორი დასახლებული პუნქტია მითითებული, „ხორხის ხეობა“ და „ფშავი“. <sup>3</sup> 1860 წლის კამერალური აღნერის დავთარში ხეობაში მხოლოდ ერთი სოფელი - ხორხია - დადასტურებული. შემდეგდროინდელი აღნერის დავთრები კი იმაზე მიუთითებენ, რომ ეს სოფელი იგივე ქვემო ხორხია. როგორც 1873, ისე 1886 წლების აღნერებში სოფელი

<sup>1</sup> თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია, გვ. 89.

<sup>2</sup> Свод статистических данных о населении Закавказского Края.

<sup>3</sup> სცსსა, ფონ. 254, ანან. 1, საქ. 689, გვ. 24-45.

ასეა წარმოდგენილი: «Хорхи или Квемо Хорхи» („ხორხი ანუ ქვემო ხორხი“).<sup>1</sup> როგორც ჩანს, ხეობის უკიდურეს სათავეში ფშაველთა მიგრაციამ ახალი სოფლის - ფშავის წარმოქმნა გამოიწვია, რომელიც შემდეგ ზემო ხორხად იწოდა. 1821 წლის აღწერაში „ხორხის ხეობაში“ აღრიცხულნი არიან გუდა-მაყრიდან მოსული ბუბუნაურები, ხარხელაურები, აფციაურები, ბექაურები, ჩოხელები, მთიულეთიდან - ჭიკაიძეები, „ქავთაროვები“ ანუ ქავთარაძეები, სისაურები, ქარჩაიძეები, სეთურიძეები. აქვე ცხოვრობდა ხევსურეთიდან მიგრირებული „არხოტივნები იგივე ნიკლაური“. სოფელ „ფშავში“ კი 13 კომ-ლი გვარად ქისტაური მკვიდრობდა. ორივეში ერთად 51 კომლი (280 სული) ცხოვრობდა.

1886 წელს ხორხის ხეობაში თუ სულ 99 კომლი და 765 სული ცხოვრობდა, 1926 წლისათვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა და 145 კომლი და 709 სული შეადგინა: ბზიურთკარი (6 კომლი, 36 სული), ხონდის ველი (27 კომლი, 151 სული), უბანი (18 კომლი, 77 სული), ხირაუშა (21 კომლი, 112 სული), ზემო ხორხი (22 კომლი, 92 სული), ქვემო ხორხი (51 კომლი, 241 სული).

1860 წლის აღწერით, სოფელ ხორხში, იგივე ქვემო ხორხში, სულ 57 კომლი (423 სული) ცხოვრობდა. 1873 წელს ეს მაჩვენებელი 435, 1886 წელს - 528 კაცს შეადგენდა. 1886 წლის მონაცემებით ესენი იყვნენ: ბექაურები (9 კომლი), სუარიძვილები (9 კომლი), ქავთარაძვილები (6 კომლი), უიშიაძვილები (5 კომლი), სეთურიძეები (5 კომლი), წიკლაურები (4 კომლი), ჩოხელები (4 კომლი). აქ სახლობდნენ აგრეთვე ბადაძვილები და ქარჩაიძეები (სამ-სამი ოჯახი), ბუბუნაურები, ხორხელიძვილები და ხარებაძვილები (ორ-ორი ოჯახი); თითო კომლი: ხეტეძვილი, ნარიმანიძე, ხყარუაძვილი, კობაიძე, ჭიკაიძე, ხარხელაური. 1860 წლის აღწერაში მთელი რიგი ოჯახები მიგრირებულებად არიან წარმოდგენილი. მიგრირებულებს გადმოსახლების წელიც აქვთ მითი-თებული (გადმოსახლებულებს მინაწერი მხოლოდ იმ შემთხვევაში უკეთდებოდა, თუ ისინი წინა აღწერის დროს აქ არ ცხოვრობდნენ. წინა აღწერა კი 1840-1841 წლებში იყო ჩატარებული). ხოლო ის ოჯახები, რომლებსაც ასეთი მინაწერი არა აქვთ, უფრო ადრე იყვნენ გადმოსახლებული. ბუბუნაურების აღრიცხული ორი კომლიდან მხოლოდ ერთს აქვს მინერილი, რომ ოჯახი გადმოსახლდა გუდამაყრის სოფელ დუმაცხოდან 1856 წელს.<sup>2</sup> მეორე კომლი ასეთი მინაწერის გარეშეა, რაც იმას ნიშნავს, ისინი აქ უფრო ადრე - XIX საუკუნის პირველ წახევარში იყვნენ გადმოსახლებული. საყურადღებოა, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან გუდამაყარში გვარსახელი ბუბუნაური, ისევე როგორც თლომიაური, თამნიაური, იგრიაული, ხარხელაური, ჭოჭო-ლაური, ჩიბალაური აღარ არსებობდა. მათ წიკლაურის გვარი გაუფორ-მდათ.<sup>3</sup> ქავთარაძვილების, იგივე ქავთარაძეების 5 კომლიდან მხოლოდ 2

<sup>1</sup> სცსსა, ფონ. 254, ანან. 3, საქ. 264.

<sup>2</sup> სცსსა, ფონ. 254, ანან. 2, საქ. 236, გვ. 360-385.

<sup>3</sup> თოფჩიძვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი, გვ. 94-96.

კომლს აქვს მინაწერი, რომ გადმოსახლებულენი მთიულეთის სოფელ ქავთურთ-კარიდან 1852 წელს. 1886 წელს ქავთარაშვილები უკვე 6 ოჯახი იყვნენ. 1846 წელს გადმოსახლებულა ხეარუაშვილების 1 ოჯახი მთიულეთიდან. აფციაურების 1 კომლი ხორხში 1855 წელს იყო გადმოსახლებული. 1857 წელს მოსულა გუდამაყრის სოფელ დიხჩიდან წიკლაურების 1 კომლი. სოფელში წიკლაურების კიდევ 2 კომლი ცხოვრობდა. ამ გვარისანი 1886 წლის საოჯახო სიებში 4 კომლის რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი. სუარიშვილების 9 ოჯახიდან ერთი 1885 წელს იყო გადმოსახლებული მთიულეთიდან (ეთნოგრაფიული მასალა: „ქვემო ხორხში სუარიშვილები 7 კომლი ვმოსახლეობთ. პაპის პაპა გადმოსახლებულა გოგხაურთიდან. ადრე სუარიდე ვყოფილვართ. წინ-წინ უფრო თავიდან ჭინჭარაულები ვყოფილვართ“). ბადაშვილები ხევიდან იყვნენ გადმოსახლებული. ქვემო ხორხში ხევსურეთიდან გადმოსახლებული ჭინჭარაშვილების/ჭინჭარაულების ერთი კომლიც ცხოვრობდა, ხეტეშვილები ქსნის ხეობიდან იყვნენ გადმოსახლებული. 1860 და 1886 წლების აღნერებში ხორხში ქვაკლდიშვილის ერთი კომლიცაა აღრიცხული, რომელიც აქ 1858 წელს ხანდოს სოფელ ვეშაგურთკარიდან მიგრირებულა („ხორხში გადმოსახლებულა პაპის პაპა. სამი კომი ვართ ვეშაგურები. ჩვენი სალოცავია ხანდოში მთავარანგელოზი“). 1886 წლის საოჯახო სიებში ქვემო ხორხში ხუცურაულის გვარიცაა შეყვანილი; ეს კომლი კი ფშავის სოფელ ვანხევიდან იყო გადმოსახლებული. ეთნოგრაფიული მასალებით, ქვემო ხორხში მთიულები და გუდამაყრელები ცალ-ცალკე უბნებად იყვნენ დასახლებული.

ზემო ხორხი ფშავიდან მიგრირებულებით იყო დასახლებული. 1886 წლის საოჯახო სიებში ამ სოფელში ცხოვრობდნენ ქისტაურები (21 კომლი), ჯერვალიძეები და უენიშვილები (თითო კომლი). 1873 წლის კამერალური აღნერის თანახმად, ზემო ხორხს მეორე სახელიც - ქისტაურები ერქვა. ამ დროს სოფელში ქისტაურთა გვარის 18 ოჯახი ცხოვრობდა. სოფელში ყეინიშვილების 6 კომლიც მკვიდრობდა, რომლებიც 1860 და 1861 წლებში ფშავის სოფელ შუათხოდან იყვნენ გადმოსახლებული.<sup>1</sup> ამავე აღნერას ახლავს გვიანდელი მინაწერი, რომლის თანახმადაც 1892 წელს აქ სოფელ ბოტკორდან (ივრის ხეობაშია თიანეთისა და საგარეჯოს რაიონების საზღვარზე) გადმოსახლებულა ჭრელო კიუაშვილი (?), რომელსაც ეთნიკურობის გრაფაში ასევე ფშაველი აქვს მინერილი.

სოფელ ბზიეურთაში, 1873 წლის აღნერით, 13 კომლი (66 სული) ცხოვრობდა. 1886 წელს ეს მაჩვენებელი 10 კომლი (55 სული) იყო. ამ აღნერებში, ისევე როგორც ზემო ხორხელები, ბზიკურთელებიც ფშავლებად არიან აღრიცხული; ისინი გვარად ქისტაურები იყვნენ.<sup>2</sup> 1873 წლის აღნერაში ბზიკურ-

<sup>1</sup> სცსსა, ფონ. 254, ანან. 3, საქ. 258.

<sup>2</sup> სცსსა, ფონ. 254, ანან. 3, საქ. 1793.

თაში თითო კომლის რაოდენობით იყვნენ აგრეთვე ხუმარაშვილები, იმედაშვილები, ლაგაზაშვილები, ბეროშვილები და ხუციშვილები. 1930-იან წლებში ბზიკურთაში ქისტაურების რაოდენობა შემცირებული იყო (7 კომლი). მოგვიანო პერიოდში აქ მთიულეთის სოფელ ნიფორიდან გადმოსული ქავთარაძეც ცხოვრობდა. საყურადღებოა, რომ სოფლის თავზე არის „კავთის წმიდა გიორგის“ სალოცავი - ის ბზიკურთის სასოფლო სალოცავი იყო. მას სხვანაირად „კალათის წმიდა გიორგისაც“ უწოდებენ.

ეთნოგრაფიული მასალებით, სოფელ სონდისველას მკვიდრნი იყვნენ ბუბუნაურები, აფციაურები, ქავთარაძები, წყარუაშვილები, ხუცურაულები, ბექაურები, დიდებაშვილები, სუარიშვილები/სუარიძები, ჭინჭარაულები, კოდაშვილები, სეთურიძეები, ჩოხელები, ვეშაგურები, ხეტეშვილები. 1935 წლის მონაცემებით, სოფლის ძირითადი გვარები იყვნენ ბექაურები (6 კომლი), ქავთარაძები (3 კომლი), ბუბუნაურები (6 კომლი), დიდებაშვილები და ჩოხელები (ორ-ორი კომლი). სოფლის პირველმოსახლენი გუდამაყრის სოფელ ძოხელიდან გადმოსახლებული ბუბუნაურები ყოფილან („ბუბუნაურებს სალოცავი ჰყავთ გუდამაყრში - პირიმზე-ფუძის ანგელოზი“), აგრეთვე დუმაცხოდან მოსული - აფციაურები. სონდისველაში ლოცულობენ „კვირაცხოველსა“ და გიორგობას.

სოფელ მენესოში (ამ სახელწოდების სოფელი მთიულეთის არაგვის ხეობის მთისწინეთშიცაა, ჭართლის ტერიტორიაზე) უიუიაშვილები ცხოვრობდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით, ისინი მთიულეთის სოფელ წიფორიდან არიან გადმოსახლებული. „წიფორის წმიდა გიორგის სალოცავში იციან ბავშვის გაბანა. მეხუთე თაობაა, რაც გადმოსახლდნენ მენესოში. მათ მოსვლამდე მენესოში არავის უცხოვრია“. უიუიაშვილების ადრინდელი გვარია ქავთარაძე. ერთ-ერთი გადმოცემით, უიუიაშვილების წინაპარი უფრო ადრე წიფორში ხევსურეთიდან ყოფილა მოსული. გადმოცემას ხევსურის გვარი არ შემოუნახავს. ირკვევა, რომ უიუიაშვილების ქავთარაძეთა გვარიდან გამოყოფა მიგრაციის შემდეგ კი არ მოხდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, არამედ მთიულეთში, გადმოსახლებამდე. 1781 წლის მთიულეთის მოსახლეობის აღწერაში სოფელ წიფორში აღრიცხული არიან: „უიუიაშვილი ბერი და ზაზა“; „უიუიაშვილი თამაზა“; „უიუიაშვილი ივანე, ბერი, ელისბარ და ქავთარ“!<sup>1</sup> ხოლო უფრო ადრინდელ 1774 წლის აღწერაში ეს გვარი წიფორში დაფიქსირებული არაა, ყველა მათგანი ქავთარაძედაა მოხსენიებული. რით უნდა ავხსნათ ეს? - იმით, რომ ძველ გვართან ერთად ახალ გვარსაც ატარებდნენ, ხან თავდაპირველი გვარით იწერებოდნენ, ხან - ახალი გვარით. უფრო მეტი, 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარში დაფიქსირებულია სოფელი უიუიანი, რომლის მკვიდრნიც ქავთარაძეებად არიან ჩანერილი. იმავე წლის მეორე აღწერით ირკვევა, რომ სოფელი უიუიანი იგივე

<sup>1</sup> ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ნ. I, გვ. 118.

სოფელი წიფორია: «c. Жижинани или Ципори».<sup>1</sup> იგივე მდგომარეობა გვაქვს 1886 წლის საოჯახო სიაში - სოფელ უიუიანში 11 კომლი ქავთაროვია აღრიცხული.<sup>2</sup> ხოლო იმავე აღწერაში უიუიაშვილის სამი კომლი დაფიქსირებულია სოფელ მკევლიანში (ცხვარიჭამის მიდამოებში). ხორხიდან უიუიაშვილები ბარის სხვადასხვა სოფელში გადასახლებულან. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში ხორხიდან ჩასახლებულან წინამძღვრიანთკარში, წეროვანსა და წილკანში. წინამძღვრიანთკარში, ქავთარაძეებთან ერთად, უიუიაშვილებს წიფორის წმიდა გიორგის წიშიც გადმოუტანიათ - ერთ წელს თუ ადგილზე წინამძღვრიანთკარში წიშზე ლოცულობდნენ, მეორე წელს აუცილებლად მთიულეთში სოფელ წიფორში მიდიოდნენ.

მენესოში სეთურიძეები და ჯამასპოვებიც იყვნენ. ეს უკანასკნელნი ხმალას ხატის ყმანი ყოფილან, რომელიც ხორხის ხეობის ერთ-ერთ მთავარ სალოცავად ითვლება. უიუიაშვილების ერთ კომლს კომშიანაშიც უცხოვრია. ეს სოფელიც ხორხის ხეობას ეკუთვნოდა. ის ზემოთ დასახელებულ არც ერთ აღწერაში არა შეყვანილი. კომშიანას სხვანაირად ფშავლებსაც უწოდებდნენ. აქ უცხოვრიათ ყეინიშვილებს (3 კომლი), რომლებიც უკანაფშავის თემიდან ყოფილან გადმოსახლებულნი. კომშიანას მკვიდრები ყოფილან ტოხიშვილებიც. XX საუკუნის 30-იან წლებში მოსულან აგრეთვე ქისტაურები და ჯერვალიძეები, სუარიძვილები და ხარხელაურები.

სოფელ უბანში 1935 წელს ყველაზე მეტი რაოდენობით ხუცურაულები (10 კომლი) და ქავთარაძეები (5 კომლი) იყვნენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, აქვე უიუიაშვილების 2 კომლიც ცხოვრობდა. ფშავის სოფელ ვანხევიდან მოსული ხუცურაულები მეოთხე თაობას ითვლიდნენ. თუმცა აქ ისინი არა უშუალოდ ფშავიდან, არამედ სოფელ ხორხიდან იყვნენ გადმოსახლებული. სოფელ უბანში არის სალოცავი „საყოველანმინდაო გიორგი“, რომელიც უზარმაზარი კომპლექსია გალავნითა და სათავსოებით. ის, რა თქმა უნდა, ხორხის ხეობის ადრინდელი მოსახლეობის სალოცავი იყო.

ხორხის ხეობის პატარა სოფელი იყო ხირაუშა. 1935 წლის მონაცემებით, აქ სახლობდნენ: სუარიძვილები (8 კომლი), უიუიაშვილები (5 კომლი), ჩოხელები (3 კომლი), ქავთარაძე (1 კომლი). იყვნენ ბადაშვილებიც. 1970-იანი წლებისათვის სოფელში მხოლოდ ბადაშვილების, სუარიძვილებისა და უიუიაშვილების თითო კომლი იყო დარჩენილი.

სოფელ ლაუშამი, ეთნოგრაფიული მასალებით, ორი გვარის ხალხი ცხოვრობს. 1970-იანი წლების დასაწყისისათვის ესენი იყვნენ: პაპკიაურები (9 კომლი) და ბენუაშვილები (7 კომლი). როგორც ერთი, ისე მეორე გვარი აქ ხევსურეთიდანაა მიგრირებული. პაპკიაურები შატილის ხეობიდან მოსულან: „ჭეჭყეთიდან, შატილის ხეობიდან არიან წამოსულები. ერეკლე მეორეს მერე გართ წამოსულები. მას შემდეგ შვიდი თაობაა გასული. თურქა ყოფილა იქა,

<sup>1</sup> სცსსა, ფონ. 254, ანაწ. 3, საქ. 232, გვ. 7.

<sup>2</sup> სცსსა, ფონ. 254, ანაწ. 3, საქ. 1802.

კაცი შემოკვდომია და გამოქცეულა. ხევსურეთში ჭინჭარაულები ყოფილან. ორაკლის ჯერ დაუსახლებია ხერთვისში, ხერთვისიდან ლაუშაში გადასულა. ლაუშა ზევითაა და ხერთვისი გაშლილი, ვაკე ადგილია. ლაუშა ნასოფლარი ყოფილა მაშინ და პირველი მცხოვრები თურქა ხევსური ყოფილა. ლაუშადან გადასულან ავენისში. მერე ავენისიდან ისევ ლაუშაში (სხვათა შორის, 1873 წლის კამერალური აღნერის დავთარში სოფელ ავენისის აღნერის ბოლოს მიწერილია: „ახლად დაარსებული სოფელი ლაუშა“ მაგრამ ეს შემდეგ გადაშლილია და გაგრძელებულია სოფელ ავენისის კომლების ნუმერაცია. აღრიცხულია პაპკაურების 5 კომლი და ერთი კომლი - ქოჩორაშვილი<sup>1</sup>). ის თურქა ლაუშის მოურავი ყოფილა. ლაუშა სახელმწიფო მიწა იყო. პაპკაურები ღვთისმშობლის ყმებია. თითონ თურქას ჭეჭყეთიდან წამოულია ნიში - ბროლის ქვა“.

**XIX** საუკუნეში ხორხში თეთრუაშვილიც მოსახლეობდა, რომელთა ძირითადი განსახლების არეალი სოფელი არანისია. ამ გვარის წარმომადგენლებიც შიდა ქართლის მთისწინეთის აღნიშნულ სოფელში მთიულეთიდან იყვნენ მოსული: „ჩვენ გვიცხოვრია მთაში მთიულეთში. ჩვენი გვარის კაცი შემოკვდომია კაცი. გვარად ვყოფილვართ ბუჩუკურები. შემდეგ ეს კაცი მოუკლავთ. მის ცოლს შეშინებია, რომ შვილებსაც დამიხოცავენო და წამოსულა იქიდან და ზანდუკელებს დასდგომია მოსამსახურეთ. ამ ქალს ყოლია სამი ვაჟი. არანისში დასახლებულან. ქალს რქმევია სახელი თეთრუა. ქალს დაუმალია თავისი გვარი, რომ არავის გაეგო მისი ვინაობა. ამ ბიჭებს კი დედის სახელით ეძახდნენ და დაარქვეს თეთრუაშვილები. ამ ბიჭებს არ მოსწონებიათ როცა დაზრდილან ბატონთან ცხოვრება. ერთი წასულა წილკანში და იქ დასახლდა და თანაც თეთრაძეთ დაწერებულა. მეორე ძმა დასახლებულა დიღომში თეთრაშვილად. ხოლო უმცროსი ძმა დარჩენილა დედასთან არანისში და დაეწერა თეთრუაშვილად“ (გიორგი სიმონის ძე თეთრუაშვილი, 75 წლის, 1978 წელი). „ბუჩუკურს დავდევდი ერთ ქალს და მამამ მითხრა: არა, შვილო, არ შეიძლება, ჩვენ თეთრუაშვილები ბუჩუკურები ვართ ძირათ, ქვეშეთიდან“ (ილიკო ალექსის ძე თეთრუაშვილი, 85 წლის, 1977).

ზემოთ აღინიშნა, რომ ხორხის ხეობის კახეთში გადასახლებული მოსახლეობის სალოცავი იყო „ხმალა“, რამაც გამოგვატანინა დასკვნა, რომ ისინი თავის დროზე მთიდან, კერძოდ კი ხევსურეთიდან იყვნენ მოსული. ყველა მთიელს მამა-პაპათა საგვარო, სასოფლო თუ სათემო სალოცავთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა - ამ სალოცავს ისინი არ ივიწყებდნენ და წინაპართა თავდაპირველი განსახლების არეალში სალოცავად დადიოდნენ ან ახალ საცხოვრისში ნიში გადაჰქონდათ. **XIX** საუკუნესა და **XX** საუკუნის დასაწყისში მთიულეთიდან, გუდამაყრიდან და ფშავიდან ხორხის ხეობაში გადასახლებულებსაც იგივე დამოკიდებულება ჰქონდათ წინაპ-

<sup>1</sup> სცსსა, ფონ. 254, ანან. 3, საქ. 226, გვ. 10-12.

რების სალოცავისადმი: ისინი ბოლო დრომდე და დღესაც დადიან სალოცავად მთაში. ხუცურაულები ფშავის სოფელ შუაფხოში „იახსარის“ სალოცავში დადიოდნენ, ჩოხელები - გუდამაყარში ჩოხის წმიდა გიორგის სალოცავში, წიკლაურები და ბექაურები - გუდამაყრის „პირიმზე ფუძის ანგელოზის“ სალოცავში, ქავთარაძეები და ჟიუიაშვილები - მთიულეთში წიფორის წმიდა გიორგის სალოცავში, სეთურიძეები - მთიულეთის სოფელ სეთურებში, სუარიშვილები - მთიულეთის სოფელ გოგნაურში, ვეშაგურები - ხანდოში. ჯამასპოვების სალოცავი იყო „ხმალა, რომელიც არის ხორხის ხეობის ზემოთ და მას ხმალას წმიდა გიორგის უწოდებენ“ („ხმალა-მთავარმონამეო“ - დალოცვის დროს ამბობენ. ხალხი კი „ხმალა-წმიდა გიორგიო“). ის ხორხის ხეობის მთავარ სალოცავად ითვლებოდა. ეს ეთნოგრაფიული მასალა იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ჯამასპოვები ხორხის ხეობის უძველესი მკვიდრნი იყვნება.

ხორხში მთიულეთიდან და გუდამაყრიდან გადმოსახლებულებს თავიანთი ძირითადი, გამაერთიანებელი სალოცავების წიშების გადმოტანაც არ დავიწყებიათ - მათ აქ გაუმართავთ მთიულთა საერთო სალოცავის - ლომისას და გუდამაყრელთა საერთო სალოცავის - პირიმზე ფუძის ანგელოზის ნიშები. ხორხშივე კვირაცხოვლისა და ღვთისმშობლის სალოცავები, აგრეთვე „წვერის ანგელოზი“ (მას „ხმალასაც“ უწოდებენ), „აჩაქველის წმიდა გიორგი“, „ლალაურის წმიდა გიორგი“, „საყვირალ წმიდა გიორგი“.

1843 წლის აღწერის დავთარში ხორხში საგულისყურო ანთროპონიმული ფაქტია დადასტურებული. კერძოდ, სამი მამაკაცი ატარებდა პიროვნულ სახელს „ხორხელა“. ორი მათგანისათვის თუ ის ოფიციალური სახელი იყო, მესამე აღნიშნულ სახელთან ერთად ნათლობის სახელითაც - ივანე - იყო ჩაწერილი.<sup>1</sup>

ამრიგად, ხორხის ხეობის დასახლება XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო და გრძელდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ხეობაში ცხოვრობენ მთიულეთიდან, გუდამაყრიდან და ფშავიდან გადმოსახლებულები. ხორხის ადრინდელი მოსახლეობა XVI-XVII საუკუნეებში კახეთში იყო გადასახლებული, რომლებიც გვიანობამდე აქ სალოცავად დადიოდნენ. ხეობის ადრინდელი მოსახლეობაც, თავის მხრივ, მთიდან იყო მოსული, რასაც ადასტურებს სალოცავის სახელწოდებაც - „ხმალა“. ხმალა კი, როგორც ცნობილია, ხევსურეთში ლიქონის თემის საერთო სალოცავი იყო. ასე რომ, ხორხი იყო გარდამავალი, მთისწინა ზოლი, სადაც, ისევე როგორც მთისწინეთის სხვა რეგიონებში, მთიელების ხშირი მიგრაცია ხდებოდა, რომლებიც შემდეგ ბარის ნასოფლარებს იკავებდნენ.

<sup>1</sup> სცსსა, ფონ. 254, ანან. 1, საქ. 2126, გვ. 65-73.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

- სცხსა** - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.  
ი. ბაგრატიონი, **ქართლ-კახეთის აღნერა** - ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღნერა, თბილისი, 1985.
- თოფჩიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია** - თოფჩიშვილი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს., თბილისი, 1984.
- თოფჩიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი** - თოფჩიშვილი რ., მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი, უცრნ. „მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1985, 2, გვ. 90-103.
- საქართველოს ისტორია ტოპონიმებში** - საქართველოს ისტორია ტოპონიმებში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი), ტ. II, თბილისი, 2010.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1985.
- ქსძ** - ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბილისი, 1970.
- ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი** - ჭინჭარაული ა., ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.
- ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ნ. I** - ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი I, თბილისი, 1967.
- ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ნ. II** - ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II, თბილისი, 1974.
- Свод статистических данных о населении Закавказского Края** - Свод статистических данных о населении Закавказского Края, извлеченных из посемейных списков 1886 г., Тифлис, 1893.

**Khorkhi / Khorkhi Gorge**  
(Ethnohistorical Essay)

**Summary**

In Georgia, along with the large historical-ethnographic//historical-geographic districts, there were also small areas (territorial, local units). Among such areas are no-nominated Nariani (located among Tori, Javakheti and Trialeti), Mtis Racha (in Racha, in the upper reaches of the river Rioni), Khando and Chartali (in the gorge of the river Mtiuleti's Aragvi, Shida Kartli foothills). Khorkhi or the Khorkhi gorge is situated in the Aragvi Valley, in the foothills of Shida Kartli. In science, there are proper studies of Mtis Racha, Khando and Chartali, which unfortunately cannot be said about Nariani and Khorkhi. This article is about Khorkhi /Khorkhi Gorge, to say precisely, about its history, migration processes and family names of indigenous inhabitants. The Khorkhi Gorge is located between the rivers of Pshavi's Aragvi and Mtiuleti's Aragvi.

Lausha, Bzikurta, Sondisvela, Khirausha, Kvemo Khorkhi, Ubani, Meneso and Zemo Khorkhi are the villages of Khorkhi that are situated from south to north-west. In the 18<sup>th</sup> century Khorkhi was uninhabited due to the migration of the indigenous population. There is a village Khorkheli in Kakheti which emerged as a result of population's displacement from the foothills of the Aragvi Valley, the Khorkhi Gorge. The settlement of the depopulated Khorkhi Gorge began in the first half of the 19<sup>th</sup> century and continued until the end of the same century. The gorge is inhabited by people displaced from Mtiuleti, Gudamakari, Pshavi and Khevsureti. According to ethnographic materials, the first family was Zhizhiashvili (same as Kavtaradze) who moved there from the village Tsipori in Mtiuleti and who, in turn, paved the way for his fellow villagers. There are also families from Gudamakari, Khevsureti and Pshavi. Representatives of the Kistauri community of Pshavi live entirely in the village Bzikurta. In the 16<sup>th</sup>-17<sup>th</sup> centuries the former population of Khorkhi moved to Kakheti, but still used to pray in Khorkhi until late. The indigenous origin of Khorkhians is also corroborated by the indigenous surnames of Kiraulis, Tagvianuris, Jabjauris, and Chavchauris. Those who moved to Khorkhi from Mtiuleti and Gudamakari, even carried signs of their main, unifying shrines, namely Lomisa - the common Shrine of Mtiuleti and Pirimze Pudzis Angelozi of Gudamakari. Earlier inhabitants of the valley, in turn, also had come from mountains, evidenced by the name of the shrine - „Khmala“. Khmala, as known, was the common shrine of the Liqoki community in Khevsureti. Thus, Khorkhi was a transitional foothill where, similar to other foothill regions, occurred frequent displacement of the highlanders who then occupied deserted villages on the plains.